



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გომა

გომა, მთა შავშეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, მდინარეების ტბეთისა (ჩირუხისწყლის მარცხ. შენაკადი) და დიდღელის (მერისის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე, შუახევის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 2360 მ.

აგებულია პალეოგენური ვულკანური ქანებით (ტუფ-ბრეჩიები, ტუფები, ანდეზიტური განფენი). გ. გუმბათის ფორმისაა. კალთები ციცაბოა, დაფარული ფართოფოთლოვანი ტყით; წვერზე სუბალპ. მდელოა.

**დ. უკლება**

---